ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N201

2016 წლის 23 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის (კულტურის სახლი) მეორე სართულზე მდებარე 72.0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ 20.39.04.075) 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით ქორეოგრაფიული ფასიანი წრის ფუნქციონირების მიზნით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის (კულტურის სახლი) მეორე სართულზე მდებარე 72,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე